განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ
სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლიანა კობესაშვილი
წევრ(ებ)ი:
ნესტან გიგაშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232387761

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თიანეთის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონიანთხევი თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორანა თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფელი თოლენჯი
საფოსტო ინდექსი	**2500**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tinyurl.cx/bkULJ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	simoniantkhevi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577616373

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25/02/2026 წლის ბრძანება MES 4 26 0000225642
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	----------

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლის გზით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულების გადაწყვეტილებით იძლეოდა ბრძანებით განსაზღვრული ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად დაამუშავა წარმოდგენილი მასალები, სკოლიდან გამოითხოვა დამატებითი მტკიცებულებები და განახორციელა დოკუმენტაციის კომპლექსური ანალიზი. ჩატარებული შეფასების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
146	**85**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლამ 08/04/2026 წლის MES 9 26 0000418607 წერილით გამოგზავნა თავისი არგუმენტირებული პასუხი დასკვნის პროექტთან დაკავშირებით და 15/04/2026 წლის MES 2 26 0000433333 წერილით გამოგზავნა

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო 1.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ვერ იქნა გაზარებული გამომდინარე იქიდან, რომ ის შეეხებოდა უკვე დამდგარ გარემოებას. (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერაში)

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*ხარვეზი*
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 4/15/2026-6/15/2026, სტრატეგიული გეგმის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა

[2] გ ა რ დ ა მ ე ო რ ე ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი ს ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ი ს ა .

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლამ გადახედოს „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტს და მასში არსებული ჩანაწერები დააზუსტოს ისე, რომ სრულად აისახოს სკოლაში არსებული პრაქტიკა, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	სკოლას მიეცა რჩევა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშიც განათავსოს სკოლის ვებგვერდზე.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია	რეკომენდაციის შესრულების სტატუსი
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (30.09.2023 30.10.2023) უზრუნველყოს, 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება.	**შესრულებულია**

	და მიზნების შესაბამის ამოცანებს		
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (06.11.2023 20.11.2023) უზრუნველყოს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.	**შესრულებულია**
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (06.11.2023 20.11.2023) უზრუნველყოს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	**2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან გეგმაში დაცულია ინდიკატორის მოთხოვნები.** **2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ინდიკატორის მოთხოვნები დაცული არ არის (იხ. ინდიკატორის აღწერა)**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შინაარსობრივად თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. ის ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტელექტუალური, კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, ეროვნული და მოქალაქეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, ასევე ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი პიროვნების აღზრდაზე. ამასთან, ხედვაში ასახულია უსაფრთხო, თანამშრომლობაზე დაფუძნებული და მაღალი აკადემიური ხარისხის მქონე სასწავლო გარემოს შექმნის მიზანი, რაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრული პასუხისმგებლიანი და აქტიური მოქალაქის ფორმირებას ემსახურება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა ასახავს დაწესებულების ხედვას საკუთარი ფუნქციის შესახებ და განსაზღვრავს სკოლას როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო, თანამშრომლობაზე დაფუძნებულ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო - კულტურულ სივრცეს. მისიასა და ხედვაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების, მშობლებისა და თემის თანამშრომლობის მნიშვნელობა, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო სოციოკულტურულ გარემოს შექმნას სკოლაში და გლობალურად მოაზროვნე, პასუხისმგებლიანი მოქალაქეების ფორმირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის ბრძანება (MES 7 23 0001788265), რომელიც ითვალისწინებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის განსაზღვრას. აღნიშნული ბრძანებით ჩამოყალიბებული ჯგუფი არის წარმომადგენლობითი და მოიცავს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრს, მათ შორის სხვადასხვა კათედრის მწარმომადგენლებს, მშობელსა და მოსწავლეს. სამუშაო ჯგუფის ასეთი შემადგენლობა უზრუნველყოფს განსხვავებული პერსპექტივებისა და ინტერესების გათვალისწინებას მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში, რაც მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარების ერთიანი ხედვის ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სოციალური ქსელის ბმული, https://www.facebook.com/photo/?fbid=716203537188610&set=a.419186183557015 რომელიც ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფიის პროექტი საჯაროდ იქნა გაზიარებული უკუკავშირის მიღების მიზნით. გარდა ამისა, წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმი, რომლის მიხედვითაც კლასის დამრიგებელმა მშობლებს გააცნო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტი. ამავე ოქმით დასტურდება, რომ დამსწრე მშობლებმა და მოწვეულმა პირებმა დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი ინფორმაცია. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის ფილოსოფია გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე https://tinyurl.cx/bkULJ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის დასახელება, სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა, შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ სტატუსს „სკოლა“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 01/05/2023 წლის ბრძანება MES 7 23 0001788265 მისია, ხედვა და ღირებულებასე მომუშავე ჯგუფის განსაზღვრის შესახებ;
- ოფიციალურi ვებგვერდი https://tinyurl.cx/bkULJ;
- სოციალური ქსელის ბმული https://www.facebook.com/photo/?fbid=716203537188610&set=a.419186183557015;
- მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესსა და მასში მონაწილე სუბიექტებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელია დირექტორის მიერ დამტკიცებული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს წარმომადგენლობით ერთეულს და აერთიანებს საგნობრივი კათედრების, ადმინისტრაციული და სტრუქტურული ერთეულების, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება უზრუნველყოფილია დაინტერესებულ მხარეებთან გამოკითხვებისა და ფოკუსჯგუფების ჩატარებით, აგრეთვე სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ანგარიშებისა და სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, დაგეგმვის ჯგუფი შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. აღნიშნული მექანიზმები ქმნის წინაპირობას, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს სასკოლო საზოგადოების საჭიროებები და მოლოდინები. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული გეგმის პროექტს ამტკიცებს დირექტორი. სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, დაგეგმვის ჯგუფი შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას და სამოქმედო გეგმასაც ამტკიცებს დირექტორი, ხოლო შესაბამის ბიუჯეტს, განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. მიუხედავად მეთოდოლოგიის დოკუმენტში არსებული ხარვეზისა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები სამეურვეო საბჭოს მიერ არის დამტკიცებული.

სკოლას მიეცა რჩევა, რომ გადახედოს „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტს და მასში არსებული ჩანაწერები დააზუსტოს ისე, რომ სრულად აისახოს სკოლაში არსებული პრაქტიკა, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის, „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია“, მიხედვით სკოლის სტრატეგიული გეგმა არის 7 წლიანი და მისი გადახედვის/განახლების ინიცირება ხდება დირექტორის ინიციატივით მოქმედი სტრატეგიის გეგმით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 3 თვით ადრე რაც მიუთითებს სტრატეგიული გეგმის ციკლურობაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2023-2030 წწ. პერიოდს და 4 სტრატეგიულ მიმართულებას: 1.თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისი სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის

განვითარება; 2. თანამშრომლეთა კვალიფიკაციის ამაღლება და კონკურენტული სამუშაო გარემოს შექმნა; 3.სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება; 4. სკოლის ორგანიზაციული განვითარება და საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება. თითოეული სტრატეგიული მიმართულება ჩაშლილია მიზნებში და ამოცანებში. სტრატეგიული გეგმის მიმართულებები და მიზნები ზოგადად თავსებადია სკოლის მისიასთან, **თუმცა მიზნების და ამოცანების ფორმულირება გადასახედია.** მაგალითად, პირველი სტრატეგიული მიმართულების - თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისი სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის განვითარება შესაბამისი მიზანი1.1.(სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენა ხდება გავლილი წლის ანალიზის საფუძველზე და განახლდება არსებული გამოწვევების საპასუხოდ), წარმოადგენს აღწერით დებულებას და მიუთითებს როგორ უნდა შემუშავდეს სასკოლო სასწავლო გეგმა. რომელიც ასახავს სკოლის სასწავლო გეგმის შედგენის პრინციპებსა და მიდგომებს და არა სტრატეგიულ მიზანს. იგი ვერ აკმაყოფილებს მიზნის კრიტერიუმებს, რადგან არ არის კონკრეტულად ფორმულირებული, არ განსაზღვრავს მიღწევად, გაზომვად და დროში გაწერილ შედეგს, ასევე არ მოიცავს მკაფიო მოქმედებებს ან ინდიკატორებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა შესრულების შეფასება. შესაბამისად, ჩანაწერს აკლია მიზნისთვის დამახასიათებელი შედეგზე ორიენტირებულობა.

ხარვეზი. სტრატეგიული გეგმის ზოგიერთი მიზანი არ არის კონკრეტულად ფორმულირებული, არ განსაზღვრავს მიღწევად, გაზომვად და დროში გაწერილ შედეგს.

სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აიღო ვალდებულება რომ დაგეგმვის ჯგუფი მოახდენს სტრატეგიული გეგმის გადახედვას და შესაბამის ცვლილებების შეტანას მიმდინარე წლის 4/15/2026-6/15/2026 წწ პერიოდში.ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, სკოლას მისცა რეკომენდაცია და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

რეკომენდაცია. სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 4/15/2026-6/15/2026, სტრატეგიული გეგმის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 და 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. 2023-2024 წლის ერთწლიანი გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 25 ივლისს, სტრატეგიული გეგმის დამტიცებამდე (სტრატეგიული გეგმა

დამტკიცებულია 2023 წლის 10 აგვისტოს სამეურვეო საბჭოს N3 სხდომაზე). რაც შეეხება, 2024-2025 წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმას, ის ემსახურება სტრატეგიული მიმართულებების მიღწევას. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს წინა წლის გეგმის შესრულების შედეგებს და ახდენს მათზე რეაგირებას. კერძოდ, 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, მათ შორის ვერ მოხერხდა დაგეგმილი რაოდენობის ვიდეოკამერების დამატება. აღნიშნული შედეგების გათვალისწინებით, სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრა შესაბამისი აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრასა და სკოლის გარემოს გაუმჯობესებას. კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფას, სკოლის ტერიტორიის დაცვის გაძლიერებას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ამრიგად, სკოლის ერთწლიანი გეგმა ნათლად ასახავს წინა წლის გეგმის შეფასების შედეგებს და უზრუნველყოფს მათზე რეაგირებას კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვის გზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 და 2024-2025 სასწავლოწლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. 2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმაში სტრუქტურა დაცულია და წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რაც შეეხება 2024-2025 სასწავლი წლის ერთწლიან გეგმას მასში არ არის წარმოდგენილი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმა სკოლას არ წარმოუდგენია.

ხარვეზი. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით სკოლამ განსაზღვრა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა. აღნიშნული აქტივობის განხორციელება 2026 წელს არარელევანტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა, ამასთან 2024-2025 სასწავლო წელს სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში არსებული ხარვეზები უკვე როგორც დამდგარი ფაქტობრივი გარემოება ისე იქნა განხილული და შესაბამისად სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ვერ იქნა გაზიარებული.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 01/05/2023 ბრძანება MES 8 23 0001788266 სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების თობაზე;
- ერთწლიანი და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შედგენისა და მათი შესრულების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია 01/05/2023 წლის N2-61 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ძირითად მექანიზმებს. მეთოდოლოგიაში გაწერილია დაგეგმვის პროცესის ეტაპები. მათ შორის, მეხუთე ეტაპად განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების მომზადება. დირექტორის N2-63 ბრძანებით შექმნილია დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია მიზნებისა და ამოცანების შესრულების ინდიკატორების განსაზღვრაზე. ასევე, ეს ჯგუფი ამზადებს მონიტორინგის გეგმის სამუშაო ვერსიას, რომელიც მოიცავს ინდიკატორებს, სამიზნე მაჩვენებლებს, საწყის მონაცემებს, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდებს და პასუხისმგებელ პირებს. გარდა აღნიშნულისა, სკოლას განსაზღვრული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმიც. მონიტორინგი მიმდინარეობს სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, ხოლო წლის ბოლოს პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშებს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ივსება შესაბამისი ცხრილები თითოეული მიმართულების, ამოცანისა და აქტივობის შესრულების შესახებ, რის შემდეგაც სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ხდება შედეგების განხილვა და ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორონგის მექანიზმის ანალიზით დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ხდება სასწავლო წლის მანძილზე. კერძოდ დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის კონტროლით, სტრუქტურული ერთეულების მუშაობაზე დაკვირვებით. მასწავლებლის/სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების, კათედრების, პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმების საფუძველზე. მეთოდოლოგიის საფუძველზე, სკოლა ანხორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი და გასაჯაროებულია დაინტერესებულ მხარეთათვის. დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

სკოლას მიეცა რჩევა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშიც განათავსოს სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს იყენებს შემდგომი განვითარების დაგეგმვისა და გაუმჯობესების მიზნით. წარმოდგენილია 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება, რომლის ანალიზის საფუძველზეც გამოიკვეთა როგორც მიღწევები, ასევე გარკვეული გამოწვევები. კერძოდ, შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ვერ მოხერხდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერების სრულად დამონტაჟება, რაც განისაზღვრა როგორც გასაუმჯობესებელი მიმართულება. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სკოლამ შემდგომი განვითარების გეგმებში პრიორიტეტად განსაზღვრა უსაფრთხოების სისტემების გაძლიერება და ამ მიზნით, მომდევნო პერიოდისთვის დაგეგმილია შესაბამისი აქტივობები, რომლებიც მოიცავს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებასა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას. ამრიგად, სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებულია როგორც საფუძველი შემდგომი დაგეგმვისთვის და უზრუნველყოფს სკოლის უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმი #2;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #3;
- მონიტორინგის მექანიზმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედეგები;
- ბრძანება No 2-61 სტრატეგიულიგანვითარებისა და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 16/04/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: